TAV
Georgia

თარიღი : 26 / 07 / 2019
ნომერი : TAV.GM.5768

შპს „დიპლომატ ჯორჯიას"
ტექნიკურ მენეჯერს
ბატონ იოსებ ბიწაძეს

ბატონო იოსებ,

თქვენი 2019 წლის 18 ივლისის წერილის, მასზე თანდართული და დამატებითად წარმოდგენილი მასალის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა I შესახვევი №10-ში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.19.17.001.044) მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისგან შემზღუდველი, დაფრენაზე შესვლის ზედაპირის გავრცელების ფარგლებში. ხოლო ქალაქ თბილისში გივი ამილახვარის I ჩიხი №19გ-ში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.19.17.001.075) მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისგან შემზღუდველი აფრენისას სიმაღლის აღების ზედაპირის გავრცელების ფარგლებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე და ასაშენებელი ობიექტების ასაფრენ-დასაფრენი ზოლის 13R ზღურბლიდან დაშორების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში თენგიზ ჩანტლაძის ქ. I შესახვევი №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.17.001.044) +2.2 მეტრი სიმაღლის ოფისის აშენება და არსებულ +18.3 მეტრი სიმაღლის შენობაზე +16.3 მეტრი მაქსიმალური სიმაღლის შენობის მიშენება დასაშვებია. მშენებლობის პროცესში გამოყენებული მანქანა-მექანიზმების სიმაღლემ სამუშაო პროცესში არ უნდა გადააჭარბოს არსებული შენობის სიმაღლეს (მიწის ზედაპირიდან +18.3 მეტრი)

ქ. თბილისში, გივი ამილახვარის I ჩიხი №19გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.17.001.075) +28 მეტრი სიმაღლის სასაწყობე შენობის აშენება დაუშვებელია.

ფრენების უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით 01.19.17.001.075 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დასაშვებია ისეთი ობიექტის (შენობა/ნაგებობა და სხვა) განთავსება, რომლის აბსოლუტური სიმაღლე საშუალო ზღვის დონიდან არ აღემატება +532.3 მეტრს (მიწის ზედაპირიდან +8.3 მეტრს).

გამომდინარე იქედან, რომ 01.19.17.001.044 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული სასაწყობე შენობის აბსოლუტური სიმაღლე საშუალო ზღვის დონიდან +542.9 მეტრი (მიწის დონიდან +18.3 მეტრი), +9.4 მეტრით აღემატება დაბრკოლებებისგან შემზღუდველი დაფრენაზე შესვლის ზედაპირის გავრცელების სიმაღლეს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ფრენების უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით აღნიშნული შენობა ექვემდებარება აღრიცხვას და შესაბამისი წესით ნიშანდებას.

აქვე გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში ახვლედიანის ქუჩა II შესახვევი №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.17.001.080) საპროექტო ობიექტის დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს საჰაერო კოდექსის მუხლი 41 „აეროდრომის რაიონში მიწათსარგებლობა და ობიექტების მშენებლობა" (13.06.2018 №462) შესაბამისად საჭიროა, მოგვმართოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ/მფლობელმა ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა.

პატივისცემით,

ქ. მეთე ერქალი
გენერალური მენეჯერი

თეა ზაქარაძე
გენერალური მენეჯერის მოადგილე

ZG